

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა**

ოქმი №11

ქ. თბილისი, 15 ივნისი, 2026 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ,
დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხოხობაიამ
ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი
სხდომას ესწრებოდა 29 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი

1. კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ;
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრთა სიის ცვლილების შესახებ;
/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/
3. ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების დამტკიცების შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი მ. ხოხობაია/
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რევიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჯანიძე/
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემისა და მეცნიერ-ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ;
/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჯანიძე/

1.გიორგი მოდებაძე - „ცირკულარული ეკონომიკის გავლენა სამუშაო ძალის
ხარისხსა და ღირსეული შრომის ანაზღაურებაზე“ მეცნიერ-ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჯანიძე

- 2.ნია ნადარეიშვილი - „ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამშენებლო პროექტების მართვის ეფექტიანობაზე“. მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
- 3.ალექსანდრა მაღლაფერიძე - „ხელოვნური ინტელექტის გავლენა ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებზე (საქართველოს საჯარო სექტორში)“ მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი;
- 4.ნინო ჩავლეშვილი - „მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“. მეცნიერ- ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

6. ზიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ თამარ ლულუნიშვილის სადისერტაციო თემის და მეცნიერ-ხელმძღვანელის ცვლილების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

სადისერტაციო თემა - „საჯარო ფინანსების რაციონალური გამოყენების გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე“, შეიცვალა - „საჯარო სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანი მართვის მოდელის შემუშავება (შავი ზღვის წყალქვეშა ელექტრო კაბელის პროექტის მაგალითზე)“, მეცნიერ ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორის მიხეილ ჩიკვილაძის ნაცვლად, დაუმტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი;

7. 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მისაღები ვაკანტური ადგილები დამტკიცების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

1. ეკონომიკა - **20 ადგილი**
2. ზიზნესის ადმინისტრირება - **20 ადგილი**
3. ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის - **3 ადგილი**

8. დოქტორანტურაში მისაღები დარგობრივი კომისიების დამტკიცების შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

„ეკონომიკის“ სადოქტორო პროგრამის დარგობრივი კომისია:

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხოხობია - დეკანი (თავმჯდომარე), აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე, პროფესორი იური ანანიაშვილი, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, პროფესორი რევაზ გველესიანი, პროფესორი სიმონ გელაშვილი, პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, პროფესორი მირიან ტუხაშვილი, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე - დეკანის მოადგილე.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ სადოქტორო პროგრამების დარგობრივი კომისია:

ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხოხობაია* - დეკანი (თავმჯდომარე), პროფესორი *ნუგზარ თოდუა*, პროფესორი *ირაკლი კოვზანაძე*, პროფესორი *დავით ნარმანია*, პროფესორი *ლევან საბაური*, პროფესორი *დემურ სიჭინავა*, პროფესორი *გიორგი ღაღანიძე*, პროფესორი *თეიმურაზ შენგელია*, პროფესორი *იოსებ ხელაშვილი*, ასოცირებული პროფესორი *მარინა ჩავლეიშვილი* - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი *მანანა ლომჯანიძე* - დეკანის მოადგილე.

9. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი.

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლომჯანიძე/

10. სტუდენტ გიორგი კაჭკაჭიშვილისთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

/ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში აკაკი მიქაბერიძე/

11. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, ასოცირებული პროფესორ მერაბ ხოხობაიას ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 15 ივნისის #11 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას სახელით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მერაბ ხოხობაიამ, თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელს, **პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს**, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზაციული მოღვაწეობისთვის, დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის **უნივერსიტეტის მადლობის სიგელი** გადასცა.

მან ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, **უნივერსიტეტის ოქროს მედალი** გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრის უფროს მასწავლებლებს ქალბატონ **ანელი ხორავას** და ქალბატონ **ზეინაზ გოგრიჭიანს**.

მოისმინეს: 1. კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

- 1.1. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა ქალბატონ მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№8817/10, 23.04.2026) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის 2003 წლის კურსდამთავრებულ **დათო სულიაურის** დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და შესაბამისად კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დავით სულიაური 1998 წელს ფასიან სწავლებაზე მისაღები გამოცდებისა და ტესტირების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/595, 29.08.1998). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 1999 წლის 7 სექტემბრის №4/806 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების, არასაბიუჯეტო განყოფილების 1998-1999 სასწავლო წლის II სემესტრის შედეგებით ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის სტუდენტი დავითი სულიაური აკადემიური ჩამორჩენილობის გამო განმეორებითი სწავლებისთვის დატოვებული იქნა კურსზე (საფუძველი: დეკანატის წარდგინება).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დღის სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავითი სულიაურს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 4 დეკემბრის №4/1635 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2003 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN№11031 (სარეგისტრაციო №01/625) რეგისტრირებულია დავით სულიაურის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ „**დავით სულიაური 1998 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2003 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე.**

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით დავით სულიაურს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

დავით სულიაურის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (ოქმი უნომროა) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2003 წლის 4 დეკემბრის №4/1635 ბრძანებით მინიჭებულ ხარისხთან. დიპლომის დანართის მოსამზადებლად აუცილებელია აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება მის სახელზე გაცემული დიპლომის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დღის სწავლების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი №..., 8.11.2003) და დღის (ფასიანი) განყოფილების ბაკალავრიატის 2002-2003 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ დავითი სულიაურს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“** უნდა მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“**.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა **დავითი სულიაურისთვის** მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის შემაჯამებელ სხდომის ოქმში (ოქმი უნომროა) დაფიქსირებულ დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.1.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით სულიაურს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით“.

1.1.2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2003 წლის 8 ნოემბრის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№..., 8.11.2003) მითითებულ დღის (ფასიანი) განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №..., 8.11.2003) და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

1.2. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ქალბატონ მ. ჩავლიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის წერილი (№10121/10, 07.05.2026), რომლითაც მოითხოვს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ზაზა ცერცვაძისთვის** მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ზაზა ცერცვაძე 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების ბიზნესის ორგანიზაციის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობის 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ზაზა ცერცვაძეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №02) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 23 აგვისტოს №4/722 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

საარქივო ცნობიდან ირკვევა, რომ ზაზა ცერცვაძის სახელზე მომზადებული დიპლომი და დიპლომის დანართის ასლები კურსდამთავრებულის პირად საქმეში არ ინახება. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დახმარებით მოიპოვა ზაზა ცერცვაძის სახელზე ელექტრონული ფორმით შენახული დიპლომი (BN#001712, სარეგისტრაციო №01/2501), რომელზეც არ არის დაფიქსირებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები და რომელშიც აღნიშნულია: **„ზაზა ცერცვაძე 2001 წელს ჩაირიცხა**

და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურებაში. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით ზაზა ცერცვაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია“.

ზაზა ცერცვაძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№02, 28.06.2005) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით (№4/722, 23.08.2005) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში (ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში) მინიჭებული კვალიფიკაციის დაზუსტება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ყოფილი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №02) გადაწყვეტილება და მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობის 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ ზაზა ცერცვაძეს მინიჭებული ხარისხის „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით“ ნაცვლად უნდა მიენიჭოს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია“.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა განეხილა ზაზა ცერცვაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის/ხარისხის დაზუსტების (კორექტირების) საკითხი და განხორციელებული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№02, 28.06.2005) დაფიქსირებულ დღის (არასაბიუჯეტო) განყოფილების ყველა კურსდამთავრებულზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: 1.2.1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობის 2004-2005 სასწავლო წლის კურსდამთავრებულ **ზაზა ცერცვაძეს** მინიჭებული ხარისხის „**ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაციით**“ ნაცვლად მიენიჭოს „**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და სერვისის ორგანიზაციების ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია**“.

1.2.2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№02) მითითებულ დღის (არასაბიუჯეტო) განყოფილების ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობის ყველა კურსდამთავრებულზე *(იხ. მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაცია მომსახურების სფეროში სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №02, 28.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: 2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრთა სიის ცვლილების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მ. ჩავლეიშვილი/

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მ. ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრთა სიის ცვლილების შესახებ.**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების დებულების თანახმად, ასევე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის „05.03“ №43/01-01 ბრძანების დანართი 1, მუხლი 3, **პუნქტი 5-ის** – „ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა ფაკულტეტის დეკანი“ და **პუნქტი 6-ის** თანახმად, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობას წარადგენს დეკანი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

აღნიშნული დებულებისა და რექტორის ბრძანების შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ უნდა იქნეს დეკანი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხოხოზია**, ხოლო საბჭოს წევრად დაემატება პროფესორი **გიორგი ლაღანიძე**.

ცვლილების გათვალისწინებით, მან წარმოადგინა **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრთა სია:**

1. ხოხოზია მერაბ ასოცირებული პროფესორი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე

2. მექვაბიშვილი ელგუჯა, პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე
3. სილაგაძე ავთანდილი, პროფესორი, აკადემიკოსი
4. პაპავა ვლადიმერი, პროფესორი, აკადემიკოსი
5. გოგოხია რევაზი, ე.მ.დ
6. ანანიაშვილი იური, პროფესორი
7. გელაშვილი სიმონი, პროფესორი
8. გველესიანი რევაზი, პროფესორი
9. თოდუა ნუგზარი, პროფესორი
10. კოვზანაძე ირაკლი, პროფესორი
11. ნარმანია დავითი, პროფესორი
12. საბაური ლევანი, პროფესორი
13. სიჭინავა დემური, პროფესორი
14. ლაღანიძე გიორგი, პროფესორი
15. შენგელია თემური, პროფესორი
16. ხარაიშვილი ეთერი, პროფესორი
17. ხელაშვილი იოსები, პროფესორი
18. ტუხაშვილი მირიან, პროფესორი
19. ჩავლეიშვილი მარინა, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს მდივანი

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. ხოხობაია მერაბ ასოცირებული პროფესორი, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე
2. მექვაბიშვილი ელგუჯა, პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილე
3. სილაგაძე ავთანდილი, პროფესორი, აკადემიკოსი
4. პაპავა ვლადიმერი, პროფესორი, აკადემიკოსი
5. გოგოხია რევაზი, ე.მ.დ
6. ანანიაშვილი იური, პროფესორი
7. გელაშვილი სიმონი, პროფესორი
8. გველესიანი რევაზი, პროფესორი
9. თოდუა ნუგზარი, პროფესორი
10. კოვზანაძე ირაკლი, პროფესორი
11. ნარმანია დავითი, პროფესორი
12. საბაური ლევანი, პროფესორი

13. სიჭინავა დემური, პროფესორი
14. ღალანძე გიორგი, პროფესორი
15. შენგელია თემური, პროფესორი
16. ხარაიშვილი ეთერი, პროფესორი
17. ხელაშვილი იოსები, პროფესორი
18. ტუხაშვილი მირიან, პროფესორი
19. ჩავლეიშვილი მარინა, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს მდივანი

მოისმინეს: 3. ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების დამტკიცების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი მ. ხოხობაია/

ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. ხოხობაიამ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტების შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებები (განხორციელებული ცვლილებების შედეგად კომიტეტების განახლებული შემადგენლობები წარმოდგენილია დანართების სახით, დანართი #1, დანართი #2, დანართი #3).

განხორციელებული ცვლილებები კომიტეტების მიხედვით:

ეკონომიკის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი:

ძველ შემადგენლობაში იყო **41 წევრი, განხორციელებული ცვლილების შედეგად კომიტეტში 36 წევრია.**

კომიტეტის წევრები აღარ არიან:

1. **ლევან საბაური** - (უარი განაცხადა წევრობაზე);
2. **დავით კეშელავა (ISET)** - (აღარ არის აისექში);
3. **ზურაბ აბრამიშვილი (ISET)** - (აღარ არის აისექში);
4. **თეიმურაზ გოგუაძე (ISET)** - (როგორც ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ბიზნესის ადმინისტრირების კომიტეტში გადავიდა);
5. **ვანო ბენიძე** (ამოღებულია სიიდან, კურსდამთავრებული) დარჩა 1 კურსდამთავრებული და ერთი დავტოვეთ **ბერაია ნინო** ;

6. მ. ჯულაყიძე - ამიღებულია სიიდან (მიზეზი - გარდაცვალება)

კომიტეტის შემადგენლობას დაემატა

ლია ჩარეკიშვილი, დამსაქმებელი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური ინფრასტრუქტურის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი

განხორციელდა აგრეთვე შემდეგი ჩანაცვლებები:

ბესარიონ სორდია PHD ჩაანაცვლა **ლელა ადუაშვილმა (PHD);** **ლელა ადუაშვილი** (მაგისტრი) ჩაანაცვლა **მაგისტრმა თამთა ბეგლარიშვილმა;** **გიორგი საჩქელაშვილი**

(სტუდენტი) ჩაანაცვლა სტუდენტ ბარბარე ბეგიაშვილმა; ლელა ბახტაძე ჩაანაცვლა რამაზ ფუტკარაძემ

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკის, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით (კომიტეტის სრული შემადგენლობა - დანართი #1)

ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი

კომიტეტის შემადგენლობაში იყო 40 წევრი ცვლილების შედეგად დარჩა 39 კომიტეტის წევრები აღარ არიან:

1. ლევან ეფრემიძის (ISET) - (აღარ არის აისექში);
 2. ანა ჩეჩელაშვილი (იყო როგორც კურსდამთავრებული, გავიდა ასოცირებულ პროფესორად და აღარ არის სიაში);
 3. დააკლდა ორი დოქტორანტი შოთა გაბადაძე და ქეთევან ღამბაშიძე კომიტეტის შემადგენლობას დაემატა
1. თენგიზ გიორგობიანი (ბაკალავრი)
 2. ქეთევან კოპალეიშვილი (მაგისტრი)
 3. მარიამ ხიზანიშვილი (PHD)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით (კომიტეტის სრული შემადგენლობა - დანართი #2)

ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი

კომიტეტის შემადგენლობაში იყო 27 წევრი, კომიტეტის შემადგენლობაში განხორციელდა მხოლოდ ჩანაცვლებები, შესაბამისად კომიტეტის წევრთა რაოდენობა არ შეცვლილა (27 წევრი). განხორციელებული ჩანაცვლებები:

1. ანა აბესაძე (PHD) - წარმოდგენილი იყო როგორც მაგისტრი, ეხლა არის დოქტორანტი)
2. ნინო თოდუა, ბაკალავრი (ჩაანაცვლა სტუდენტი ანა გვენეტაძე)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოთქვამს

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 29

მოწინააღმდეგე 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა წარმოდგენილი სახით (კომიტეტის სრული შემადგენლობა - დანართი #3)

მოისმინეს: 4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჯანიძე/

ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ქალბატონ მანანა ლობჯანიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის თანახმად (№6320/10, 25.03.2026) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა თსუ კავკასიის ბიზნეს სკოლის (ფინანსების სპეციალობა) მაგისტრატურის 2008 წლის კურსდამთავრებულ **ლევანი გოგოლაძის** სახელზე დიპლომის დანართის მომზადება. ამისთვის კი „დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის შესახებ“ თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-04 ბრძანების შესაბამისად აუცილებელია დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **ლევანი გოგოლაძის** სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ

ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანი (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ **ლევან ზურაბის ძე გოგოლაძე** „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ სამაგისტრო პროგრამის პირველ კურსზე სასწავლო წლებისა და სპეციალობების შესაბამისად ჩაირიცხა 1999 წელს, სპეციალობით „ფინანსები“ (ბრძანება №4/443, 30.04.2004, §1 - საფუძველი: მიმღები კომისიის გადაწყვეტილება (5.03.99), ბრძანება №M-3/99).

„კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2008 წლის 28 თებერვლის №239/01-04 ბრძანებით ფინანსების სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულ ლევან გოგოლაძეს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცა შესაბამისი დიპლომი (საფუძველი: კავკასიის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დირექტორის წარდგინება №2930/02).

თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო ცნობიდან (№3452/10, 20.02.2026) ჩანს, რომ თსუ კავკასიის ბიზნესის სკოლის 2001-2009 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი MN#001307 (რიგითი №32) რეგისტრირებულია ლევან გოგოლაძის სახელზე. ხოლო თსუ „კავკასიის ბიზნესის სკოლის“ კვალიფიკაციის სხდომის ოქმები თსუ არქივში გადაცემული არ არის.

„კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2008 წლის 28 თებერვლის №239/01-04 ბრძანებით ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ:

- ფინანსების სპეციალობის 2008 წლის 4 კურსდამთავრებულს და
- მარკეტინგის სპეციალობის 2008 წლის 5 კურსდამთავრებულს.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული საქმისწარმოებით დასტურდება ლევან გოგოლაძის სწავლისა და მაგისტრის ხარისხის მინიჭების

ფაქტი და რადგან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე არ იძებნება კავკასიის ბიზნესის სკოლის ფინანსები სპეციალობის 2008 წლის კურსდამთავრებულთათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტები, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს თსუ რექტორის მიერ გამოცემული „კავკასიის ბიზნესის სკოლის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად ამავე ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დამატება ასო „პ“.

